საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 104 2024 წლის 1 მარტი ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 8 თებერვლის №17 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 8 თებერვლის №17 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

დავით მალაზონია – შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

თამარ მამსიკაშვილი – აზიის განვითარების ბანკის პროგრამის – „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისათვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

პეტრე ბაბილუა – შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ნატო გაბოშვილი – სსიპ – ქალაქ თბილისის №169 საჯარო სკოლის დირექტორი;

გიორგი გიგიბერია – ა(ა)იპ – ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

მორის დანდურიშვილი – სსიპ – ქალაქ ხაშურის №1 საჯარო სკოლის დირექტორი;

მაკა მამფორია – შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი;

შალვა მეკრავიშვილი – სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ რუსთავის №2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი;

ქეთევან ნატროშვილი – შპს „ქართული სასწავლებელი – თბილისის“ დირექტორის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების პროგრამის კონსულტანტი (საბჭოს მდივანი).“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**